11981/3-81/21 2 08122021

11981/3-81/21
08-12-2021

კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედ

უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია და გამომიგზავნოთ ის სამართლებრივი აქტ(ებ)ი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო და რომლითაც განისაზღვრება საბჭოს უფლებამოსილება.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი

GOV 9 21 00045281

13/12/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

თქვენი მიმდინარე წლის 8 დეკემბრის №11981/3-81/21 წერილის პასუხად, გიგზავნით „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით უწყებათაშორისი საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 მარტის №618 განკარგულებას.

პატივისცემით,

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის
უფროსის მოადგილე
საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი
რევაზ ჯაველიძე

საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 618 2020 წლის 30 მარტი ქ. თბილისი

საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით უწყებათაშორისი საბჭოს შექმნის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით:

1. შეიქმნას უწყებათაშორისი საბჭო (შემდგომში – საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრი - საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი/მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;

გ) საქართველოს იუსტიციის მინისტრი/მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი/მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;

ე) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი/მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;

ვ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი/მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;

ზ) საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი/მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;

თ) საქართველოს ფინანსთა მინისტრი/მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;

ი) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი/მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;

კ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი/მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;

ლ) საქართველოს თავდაცვის მინისტრი/მინისტრის მოადგილე - საბჭოს წევრი;

მ) შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი/მინისტრის პირველი მოადგილე - საბჭოს წევრი;

ნ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი/უფროსის მოადგილე - საბჭოს წევრი;

ო) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი/უფროსის მოადგილე - საბჭოს წევრი;

პ) ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი/ წარმომადგენელი - საბჭოს წევრი;

ჟ) სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი/ გენერალური დირექტორის მოადგილე - საბჭოს წევრი;

რ) სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ გენერალური დირექტორი - საბჭოს წევრი.

2. საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობა ეთხოვოთ:

ა) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელს;

ბ) საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელს.

3. საბჭოსთან შეიძლება შეიქმნას საგანგებო მდგომარეობის მართვის ოპერაციული შტაბი.

4. საბჭო უფლებამოსილია შექმნას სამუშაო ჯგუფები და მოიწვიოს სხვა საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლები, შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი ექსპერტები და სპეციალისტები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**